


დენტალურმა იმპლანტაციამ მეტად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა თანამედროვე სტომატოლოგიაში, რადგან ნაწილობრივ ან სრული ადენტიის დროს იმპლანტაცია საუკეთესო გადაწყვეტილებაა. დენტალური იმპლანტი ცვლის დაკარგული კბილების ფესვებს, რაც შემდგომში კბილთა მწკრივის ფუნქციური და ესთეტიური შედეგის აღდგენის საშუალებას იძლევა.



მედიცინის დოქტორს, პროფესორს, ყბა-სახის ქირურგს, იმპლანტოლოგს, საქართველოს იმპლანტოლოგთა ასოციაციის ვიცე პრეზიდენტს, საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის წევრს, მსოფლიოს თავის ქალის და ყბა-სახის ქირურგთა ასოციაციის წევრს - მამუკა გოგიბერიძეს ძალიან ბევრი წარმატებული იმპლანტაციის მაგალითი აქვს.

თუმცა გვინდა წარმოგიდგინოთ მათგან ერთ-ერთი საინტერესო კლინიკური შემთხვევა:


71 წლის, მამრობითი პაციენტი, მთავარი ჩივილით: დისკომფორტი ნაწილობრივი ადენტიის გამო. მძიმე პაროდონტიტის IV სტადიის დუნედ მიმდინარე პროცესის შედეგად პირის ღრუში შენარჩუნებული იყო 33, 43, 47 კბილები, თუმცა პაროდონტული ჯიბეების სიღრმე აღწევდა ნმმ-ს, რეზორბირებული იყო ძლოვანი ქსოვილი კბილის ფესვის სიგრძის ნახევარზე მეტი, კბილის მწვერვალამდე, ტრავმული არტიკულაციით, ძვლოვანი ქსოვილის II-III ხარისხის დესტრუქციით, ოსტეოპოროზის კერებით, ძვლოვანი ჯიბეები აღწევდა ფესვის მწვერვალს.

**რენტგენოლოგიურად** არ აღინიშნებოდა რაიმე სახის ანთებითი პროცესი, კომპიუტერული ტომოგრაფიით გამოვლინდა ძვლოვანი ქსოვილის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა შემდგომი იმპლანტაციისთვის, პირის ღრუში არსებული კბილები საჭიროებდა ექსტრაქციას.


**სამედიცინო ისტორია** პაციენტს არ აღენიშნებოდა არანაირი სამედიცინო მდგომარეობა, რომელიც საჭიროებდა ექიმის მეთვალყურეობას ან მედიკამენტებს. ასევე, პაციენტს არ გააჩნდა რაიმე ტიპის ალერგია. • წნევა 126/80 • პულსი 72.

**სოციალური ისტორია** პაციენტი არ ეწევა სიგარეტს, არც ნარკო საშუალებებს იყენებს. პაციენტი სვამს ალკოჰოლურ სასმელებს 1 ან 2 ჭიქას კვირაში.

**ექსტრარალური გასინჯვა** პაციენტს არ აღენიშნებოდა რაიმე ტიპის ასიმეტრია ან პათოლოგია არც კუნთებზე და არც ლიმფურ კვანძებზე. საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრები ნორმის ფარგლებში.



**მკურნალობის გეგმა** • იმპლანტაცია - 6-6 იმპლანტის მოთავსება თითოეულ ყბაზე შემდგომი პროთეზირებით; მოხდა არსებული კბილების ატრამიული ექსტრაქცია, ექსტრაქციიდან 8 კვირის თავზე ჩატარდა იმპლანტაცია. იმპლანტაცია მოხდა **SGS Dental Implant System**-ის იმპლანტებით ზედა ყბაზე 21, 23, 25 კბილების მიდამოში ზომებით: 3,75\*10; 3,75\*10; 4,2\*10, 12, 13, 15 კბილების მიდამოში 3,75\*10; 3,75\*10; 4,2\*10; ქვედა ყბაზე 32, 34, 36 კბილების - 3,2\*11,5; 3,75\*11,5; 3,75\*11,5, 42, 44, 46 კბილების - 3,2\*11,5; 3,75\*10; 3,75\*11,5. იმპლანტაციის დროს იმპლანტის სტაბილიზაცია იყო კარგი (20-30 N/cm), 12 კვირის შემდგომ მოხდა ანაბეჭდის აღება. გამოყენებულ იქნა ღია-კოვზის საანაბეჭდო მეთოდი. საბოლოო რესტავრაცია დამზადდა Multi-Unit აბატმენტებზე All-on-6 სისტემის სახით და მასზე ბონდირებული ხრახნიანი ცირკონის გვირგვინებით.



ბატონიმამუკა აღნიშნავს, რომ წარმატებული იმპლანტაციისათვის მნიშვნელოვანია ოსტეოინტეგრაცია, ანუ კონტაქტი ძვალსა და იმპლანტს შორის, რასაც ყველაზე კარგად უზრუნველყოფს **SBTC**-ის საფარიანი დენტალური იმპლანტები. სწორედ ამის გამო ის ხშირ შემთხვევაში უპირატესობას ანიჭებს შვეიცარიული კომპანია **SGS Dental Implant System**-ის იმპლანტებს. ბატონი მამუკა თვლის, რომ აღნიშნული საფარი უზრუნველყოფს გაცილებით სწრაფ ოსტეოინტეგრაციას, რეაბილიტაციის ხანგრძლივობის შემცირებას და იმპლანტის შემდგომ სიმყარეს.



*ელექტრონული მიკროსკოპით 25-ჯერადი გადიდებით მიღებული გამოსახულება*




*2000-ჯერადი გადიდებით მიღებული გამოსახულება SBTC-ის საფარის კრისტალური სტრუქტურა*


SBTC-ის საფარი უნიკალურ თვისებებს განაპირობებს ბიოაქტიური კალციუმის ფოსფატი, რომელიც უზრუნველყოფს მჭიდრო კავშირს ოსტეობლასტებთან და ხელს უწყობს მათ პროლიფერაციას. სკანირებული სურათი ნათლად აჩვენებს უჯრედების ინტეგრაციას იმპლანტის ზედაპირთან.

**SGS Dental Implant System**-ის იმპლანტების გამოყენების შემთხვევაში იმპლანტაციიდან 14-30 დღის განმავლობაში შეიმჩნევა უკეთესი, კერძოდ, 40-60%-მდე კონტაქტი ძვალსა და იმპლანტს შორის, 30 დღის შემდეგ კი აღინიშნება ოსტეოკალცინაციის მნიშვნელოვანი ზრდა.


**ოსტეოკალცინაცია**



*მე-14 დღეს*



*30-ე დღეს*



*ძვლოვანი ქსოვილის ფორმირება SBTC-ის საფარზე*



*ოსტეობლასტები SBTC-ის საფარზე*

აღსანიშნავია იმპლანტაციის აქტუალობის ზრდა ბოლო წლების განმავლობაში, ამიტომ მეტად სასიხარულოა, რომ საქართველოს ბაზარზე დღესდღეობით არსებობს მაღალი ხარისხის პროდუქცია, რომელიც ინოვაციური ტექნოლოგიებით არის დამზადებული და საშუალებას იძლევა სულ უფრო მეტ პაციენტს აღმოვეჩინოთ მაღალკვალიფიციური დახმარება, დავუბრუნოთ სილამაზე და სიცოცხლის ხალისი.

**Surface Treatment  
SBTC – Smart Bioactive Trabecular Coating**

SBTC – Smart Bioactive Trabecular Coating